საქართველოს
ფინანსთა მინისტრი
Minister of Finance
of Georgia

https://edoc.mof.ge/public/#/

133788-08-02-2-202010231347

N 08-02/133788
23/10/2020

საქართველოს პარლამენტის წევრს

რომან გოცირიძეს

ბატონო რომან,

თქვენი 2020 წლის 28 სექტემბრის N8833/3-24/20 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ახალი კორონავირუსის COVID-19 პანდემიის გავრცელებასთან დაკავშირებით, პარტნიორი დონორი ორგანიზაციებიდან საბიუჯეტო დახმარების სახით მობილიზებულ იქნა შემდეგი თანხები:

- უკვე ჩამორიცხულია დაახლოებით 517 მლნ ევრო და 200 მლნ აშშ დოლარი;
- გაგზავნილია მოთხოვნები თანხების ჩამოსარიცხად 360 მლნ ევროზე, რაც მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა ჩამოირიცხოს;
- მიმდინარეობს ხელმოწერის პროცედურები 430 მლნ აშშ დოლარზე.

რაც შეეხება თქვენ წერილში ხსენებულ „კერძო სექტორის დახმარების მიზნით“ თანხების მობილიზებას, გაცნობებთ, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფუნქციებისა და კომპეტენციის ფარგლების გათვალისწინებით, დონორი ორგანიზაციების მხრიდან კერძო სექტორის დაფინანსების თაობაზე

0114 Tbilisi, გორგასლის ქუჩა 16
ტელ: (+99532) 2261444
ელ-ფოსტა: info@mof.ge
ვებ-გვერდი: www.mof.ge

0114 Tbilisi, 16 Gorgasali Street
Tel: (+99532) 2261444
E-mail: info@mof.ge
website: www.mof.ge

ინფორმაციას არ ვფლობთ. ამასთან, საზღვარგარეთიდან ჩამორიცხული თანხების შესახებ ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ მონაცემებში.

პატივისცემით,

ივანე მაჭავარიანი

მინისტრი